ხელშეკრულება №9

ხელშეკრულების დადების ადგილი: დაბა შუახევი

ხელშეკრულების დადების თარიღი: 21 თებერვალი 2012 წ

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

„შემსყიდველი" შუახევის რესურსცენტრი

მისამართი: დაბა შუახევი, რუსთაველის ქ№ 21

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"; **ბანკის კოდი** BAGAGE22; **ანგარიშის ნომერი:** GE78BG0000000886744500; **საინდენტიფიკაციო კოდი:** 247865029

„მიმწოდებელი" ინდ. მეწარმე „ფატმან ტაკიძე"

მისამართი: შუახევი, რუსთაველის ქ. №11.

საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი"-ს შუახევის სერვისცენტრი; **ბანკის კოდი:** LBRTGE22; **ანგარიშის ნომერი:** GE53LB0112141587915000; **საინდენტიფიკაციო კოდი:** 61010015937

ერთი მხრივ- შემსყიდველი და მეორეს მხრივ მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" **შუახევის რესურსცენტრის კუთვნილი ავტომობილის "ვაზ 21214" სახელმწიფო ნომრით IVI 293-სათვის 4 ცალი მეორადი საბურავის (CPV კოდით: 34913100)** მიწოდება (შემდგომში საქონელი) ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 240 (ორასორმოც) ლარს.

1.3. ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული შესყიდვების ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება წარმოადგენს საორიენტაციო თანხას, შემსყიდველი არ არის ვალდებული შეიძინოს ზემოაღნიშნულ პუნქტში დაფიქსირებული საქონელი. შემსყიდველის მიერ საქონლის შეძენა მოხდება 2012 წლის პერიოდში წარმოშობილი საჭიროების მიხედვით.

1.4 შესასყიდი საქონლის ერთეულის ზომა და ფასი განისაზღვრება ფორმა №3-ის მიხედვით.

2. საქონლის მიღება-ჩაბარება

2.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის, რომელსაც ხელს აწერენ საამისოდ უფლებამოსილი პირები.

2.3. მიღებული საქონლის საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელის მიერ ამ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მიღებული საქონლის ხარვეზების გამოსწორებისთვის და მოთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშწორების ფორმა: უნაღდო

4.2 ანგარიშწორების ვალუტა: ქართული ლარი

5. ხალშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს ამ მიზნებისთვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლის შესახებ.

6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლიბელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიური ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა.

7.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 20 დღის განმავლობაში შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ვერ შეძლეს სადაო საკითხების შეთანხმების მოგვარება ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

8. შეტყობინება

8.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

7.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენის დღეს იმის მიხედვით თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

10. სხვა პირობები

10.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

10.2. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.3 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

10.4. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლიარად. ეგზემპლარები ინახება ხელშეკრულების მონაწილეებთან და აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.

„შემსყიდველის" მხრიდან

შუახევის რესურსცენტრი

უფროსი: ზაური დავითაძე

ხელმოწერა _____

„მომწოდებლის" მხრიდან

ინდ. მეწარმე „ფატმან ტაკიძე"

დირექტორი: ფატმან ტაკიძე

ხელმოწერა _____

ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ

ფორმა № 3
ივსება მიმწოდებლის მიერ

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარებში)	საერთო ფასი (ლარებში)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	ვტომობილის მეორადი საბურავები	ცალი	4	60	240	დაბა შუახევი	2012 წლის 31 დეკემბერი
ჯ ა მ ი					240		

ინდ. მეწარმე „ფატმან ტაკიძე"
დირექტორი: ფატმან ტაკიძე

ხელმოწერა _____